პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 26 სექტემბერი 1925 წ. წელიწადი მეხუთე

ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# კომუნისტი

218 (916) | 1 და 2 ქართული მშრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24
განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტ რ.

ორშაბათს, 28 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის 11 სექტემბრის სახელობის დარბაზში დანიშნულია აღმასკომის პლენუმის

**მორიგი სხდომა.**

**დღის წესრიგი:**

1. ტფილისის საბჭოს და აღმასკომის დებულების პროექტის განხილვა.
2. მიმდინარე საკითხები.

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

პრეზიდიუმი.

## იაპონიის პროლეტარიატის მისალმება.

დღითი დღე ეკონომიურად იზრდება და წინ მიიწევს აღორძინების გზაზე საბჭოთა კავშირი. ამ ზრდას მოაქვს თავისი შედეგები. ბურჟუაზიული ქვეყნების მშრომელთა მასები უფრო და უფრო იმედის თვალით იწყებენ ცქერას მუშურ-გლეხურ ქვეყნისაკენ.

მათი სიმპატია და თანაგრძნობა უფრო და უფრო მატულობს. ამის საუკეთესო მტკიცებაა მრავალი მუშური დელეგაციები, რომლებიც ესტუმრენ საბჭოთა რესპუბლიკებს და მომავალშიც ბევრი მოვლენ. საბჭოთა კავშირი მსოფლიო რევოლუციის დასაყრდენი, მის პირველი გამარჯვების ნაყოფია. ამას გრძნობენ უცხოეთის პროლეტარები და იმპერიალიზმის ყველა მონები.

ამიტომ არის რომ სიხარულით და აღტაცებით ივსება მათი გული, როცა მათი დელეგაციები მოგზაურობის შემდეგ მოუთხრობენ მათ, თუ როგორ შემოქმედებით მუშაობას აწარმოებს მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, თუ როგორ იქედება ახალი სოციალისტური წესწყობილება საბჭოთა ქვეყანაში. ასეთივე აღტაცებით და აღფრთოვანებით ხვდებიან მუშები საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს საზღვარ გარეთ. გუშინდელი რადიო გადმოგვცემდა ჩვენ იმ აღფრთოვანებული შეხვედრის შესახებ, რომელიც გაუმართა იაპონიის მუშათა კლასმა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციას, მიუხედავათ იაპონიის პოლიციის ცდებისა არ დაეშვა მუშები დელეგაციის შესახვედრათ, ეს მათ მაინც ვერ შესძლეს. ვერც ციხემ და ვერც ცემამ ვერ უშველა იაპონიის პოლიციელებს. მუშებმა მაინც შესძლეს ღირსეულად შეხვედროდენ დიდი მუშურ-გლეხური საბჭოთა ქვეყნის პროლეტარიატის წარმომადგენლებს და გამოეთქვათ მათთვის თავისი აღტაცება და სოლიდარობა.

იაპონიის პროლეტარიატის ასეთი მისალმება საუკეთესო მაგალითია იმისი, თუ რამდენათ ძვირფასია მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისთვის საბჭოთა კავშირი. ეს საზეიმო შეხვედრა აგრეთვე მოწმობს მუშათა კლასის საერთაშორისო ინტერნაციონალური სოლიდარობის ზრდასაც.

საერთაშორისო მუშათა კლასის მთლიანი ფრონტის შექმნის საქმე წინ მიიწევს. იაპონიის პროლეტარიატის მხურვალე შეხვედრა კი სრულ უფლებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ მსოფლიო მუშათა კლასის ეს მთლიანობა მიღწეული იქნება და პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების საქმე მთელ ქვეყნიერებაზე არც ისე შორს არის.

## ამხ. ტომსკი სკარბოროს კონგრესის შესახებ.

ტასს-ის წარმომადგენლებთან საუბარში ამხ. ტომსკიმ ტრედ-უნიონების კონგრესის შესახებ შემდეგი განაცხადა:

პირველად ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ინგლისის მუშათა პროფკავშირების მარცხნივ გადახრა. ეს ფაქტი მტკიცდება იმით, რომ გენერალურ საბჭოს პოლიტიკა პროფმოძრაობის მთლიანობის შესახებ მოწონებულ იქნა, და მიღებულ იქნა მისივე რეზოლიუცია იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

ინგლისის მუშათა მარცხნივ ასეთი გადახრა გამოწვეულია მათი ბელადების მოსვლით საბჭოთა კავშირში. ინგლისის მუშათა დელეგაციის ანგარიშმა, რომელიც დაბეჭდილია ათი-ათასობით, გაფანტა ის ყალბი ცნობები საბჭოთა კავშირზე, რომლითაც კვებავდა ბურჟუაზია მუშებს. ინგლისის მუშებმა გაიგეს გამოცდილ მუშათა მოძრაობის მოღვაწეებისაგან სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ. ინგლისის მუშები დარწმუნდენ, რომ მეორე ინტერნაციონალის ბელადები ყალბ შეფასებას აწვდიდენ მათ საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. ის მიხვდა, რომ მას საბჭოთა კავშირის მუშებთან ერთი გზა აქვს.

უკანასკნელი კონგრესის დადგენილება უსათუოდ ისტორიულია. კონგრესმა შესწორების შეუტანელად მიიღო გენერალურ საბჭოს დადგენილება საერთაშორისო მთლიანობის შექმნის შესახებ და დაამტკიცა შეთანხმება ინგლის-საბჭოთა კავშირის კომიტეტის დაარსების შესახებ.

ინგლისს-საბჭოთა კავშირის კომიტეტი, რომელიც ანხორციელებს 11 მილიონ საბ. კავშ. და ინგლისის მოწინავე მუშათა სურვილს, შესძლებს მთლიანი ფრონტის შექმნას.

# ახალი რადიო-ამბები

## გერმანიამ თანხმობა განაცხადა საგარანტიო ხელშეკრულობისათვის მოწვეულ კონფერენციაში მონაწილეობაზე.

გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰინდენბურგის თავმჯდომარეობით, მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა მოკავშირეთა (ინგლისი, საფრანგეთი და ბელგია) სახელმწიფოების წინადადების მიღება საგარანტიო ხელშეკრულობისათვის მოწვეულ კონფერენციაში მონაწილეობაზე. (საგარანტიო ხელშეკრულობა მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ის უარყოფს რაპპალოს ხელშეკრულობას, რომელიც 1922 წელს დაიდო გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის) გერმანიის დელეგატებათ კონფერენციაზე დაესწრებიან რეიხსკანცლერი (პირველი მინისტრი) ლიუტერი და საგარეო საქმეთა მინისტრი შტრეზემანი.

## ომი სირიაში
### ფრანგებმა აიღეს ქ. სუედა.

როგორც ჰავასის სააგენტო იტყობინება, ფრანგის ჯარებმა აიღეს ქ. სუედა.

ქ. სუედა ამას წინეთ დაიკავეს დრუზებმა (აჯანყ. ბ...ლ. თა ტომებმა) თვითონ ციხე ქ. სუედასი კი ფრანგებს ქონდათ გამაგრებული.

## მემამულეთა პოლონეთის კრიზისი.

პოლონეთში ძლიერ გამწვავდა ეკონომიური კრიზისი. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გრაბსკიმ მოითხოვა თავის პოლიტიკურ უფლების გაფართოება, რომ დაეძლია ეს კრიზისი, მაგრამ პოლიტიკურმა პარტიებმა ამაზე მას უარი უთხრეს.

ეხლა პოლონეთის მთავრობა იმუშავებს ახალ ზომებს შემოზიდულ საქონლის შემცირების შესახებ და გასატან მრეწველობისათვის შეღავათის მიღებაზე. ეს ზომები მიუთითებენ აგრეთვე საბჭოთა კავშირთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის აუცილებლობაზე.

## გაფიცულ ასოთ ამწყობთა გამარჯვება.

ბელგიის გაფიცულ ასოთ ამწყობებმა დაიწყეს მუშაობა იმის შემდეგ, როგორც კი მწარმოებლებმა თანხმობა განაცხადეს ახალ ტარიფის შემოღების შესახებ.

ყველა გაფიცვებში მონაწილეობის მიღებისათვის დათხოვნილთ უკან ღებულობენ.

## ერთა ლიგა რუს ემიგრანტების დაბრუნების შესახებ.

ჟენეველ „ვოზრაჟდენია“-ს კორესპონდენტის ცნობით სამხრეთ—სლავიის დელეგატ სტეფანე რადიჩმა განაცხადა, რომ ლტოლვილთა საქმეების მომგვარებელ ერთა ლიგის კომისიამ წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა ამერიკიდან რუს ემიგრანტების გადაყვანის შესახებ საბჭოთა კავშირში.

## ნორვეგიელ მუშათა დელეგაცია.

სრულ. რუს. პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ ცნობა მიიღო, რომ 12 ოქტომბერს ნორვეგიიდან გამოემგზავრება საბჭოთა კავშირში ნორვეგიელ მუშათა დელეგაცია.

## კირილეს მომხრეების კალონია.

„პარიზის ვესტნიკმა“ მოათავსა რუს ემიგრანტების კალონიის წესდება, რომლებიც მომხრენი არიან ყოფილი დიდი მთავრის კირილეს. კალონიის უფროსად დანიშნულია კირილეს მიერ ერთი პირი, რომელსაც ემორჩილება მთელი კალონია.

კალონიაში არ უშვებენ ებრაელებს. ყოველი კალონიის წევრი ვალდებულია მიიღოს ფიცი „მეფე კირილეს და მის მემკვიდრეს“ ერთგულებაში.

## 2.500 პროცესი ლიტვაში.

ამ ახლო ხანში სამხედრო სასამართლოში ლიტვაში დაიწყება პროცესი ებრაელთა კულტურულ—განმანათლებელ სახალხო ორგანიზაციის 2.500 წევრთა.

# საბჭოთა კავშირში

## ინგლისის პროფ-მუშაკები მუშათა სასახლეში მოსკოვში.

ინგლისის სტუმრებმა ვალტერ სიტრინმა და ჟორჟ ხინგსმა, რომლებიც ტომსკთან ერთად ჩამოვიდენ, ინახულეს მუშათა სასახლე.

# რუსეთის პროფკავშირთა დელეგაციის დაბრუნება ინგლისიდან.



ამხ. ტომსკი.

24 სექტემბერს ინგლისიდან ჩამოვიდა რუსეთის პროფკავშირთა საბჭოს დელეგაცია ამხ. ტომსკის და დოგადოვის შემადგენლობით.

დელეგაცია მონაწილეობას ღებულობდა ინგლისის ტრედ-უნიონების კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა ინგლისის ერთ ქალაქში—სკარბორაში.

დელეგაციას თან ჩამოყვა ტრედ—უნიონების გენერალურ საბჭოს წევრი ჯორჯ ხიგსი და ტრედ—უნიონების საბჭოს პირველი მდივანი ვალტერ სიტრინი.

ინგლისელ სტუმრებს მოსკოვში გაუმართეს შეხვედრა. ისინი გაეცნობიან ჩვენში პროფმოძრაობას, ელექტროფიკაციას და სხვა. მოსკოვის გარდა ინგლისელი სტუმრები ინახულებენ ლენინგრადსაც.

## გემების შეძენა.

საბჭოთა კავშირიდან საქონლის საზღვარგარეთიდან შემოტანა-გატანის გაძლიერების გამო სავაჭრო ფლოტის სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა შრომისა და თავდაცვის საბჭოს წინაშე საზღვარ გარეთ 50 სხვა და სხვა ტიპის გემების შეძენის შესახებ.

# სამხედრო საქმე

## ადგილმდებარეობასთან შეფარდება.

ადგილმდებარეობასთან შეფარდება ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ადგილზე მოთავსებული ბუჩქები, წაქცეული ხეები, ბაღები, ხეები, ბალახი, დათესილი მინდვრები და სახლები საფარად უნდა გამოიყენოს მსროლელმა. ყოველივე ეს შეადგენს ეგრედ წოდებულ ადგილმდებარეობასთან შეფარდებას.

როგორ შეუძლია მსროლელს ადგილმდებარეობასთან შეფარდება შეტევაზე გადასვლის დროს?

ყოველივე ეს დამოკიდებულია თვით მსროლელზე. მაგალითად: ბუჩქი, ორმო, წაქცეული ხე და სხვა საუკეთესო თავსაფარია მსროლელისათვის. ამათ უკან ამოფარებული მსროლელი ძლიან ცუდათ მოსჩანს. თითქმის ყოველივე ამაღლებული ან ჩაღრმავებული ადგილი, რომელსაც თავს შეაფარებს მსროლელი, ეს გაუწევს მას ნიღბვის მაგიერობას.

ადგილობრივ მნიშვნელობის საფრით სარგებლობის დროს უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, თუ საფარში ჩამჯდარმა როგორ უნდა დაიწყოს სროლა მტრის მიმართ.

ავიღოთ, მაგალითისათვის წაქცეული ხე. აქ ორნაირად შეუძლია მებრძოლს აწარმოოს სროლა. ორნაირად: ერთი წაქცეულ ხის ზევიდან და მეორე მის გვერდიდან.

ამ ორ შემთხვევაში, როდის უფრო კარგად იქნება ის დაფარული მტრის მოთვალთვალისაგან? უსათუოდ მეორე შემთხვევაში, რადგან პირველ შემთხვევაში მებრძოლმა ასე თუ ისე უნდა სწიოს ტანის ნაწილი. მეორე შემთხვევაში კი ის არ იწევა ზევით და ისე აწარმოებს სროლს. ამიტომ მებრძოლს უნდა ახსოვდეს, რომ მან ბრძოლის დროს ისეთი ამაღლებული ადგილი უნდა დაიკავოს, რომლის გვერდიდან და არა ზევიდან, შეიძლებოდეს სროლის წარმოება.

„ქ. ვ."

# პარტიული ცხოვრება

## ბიურო-კოლექტივის კრება.

### მე-6 ტერ-ლეგიონი.

23 სექტემბერს შესდგა აღნიშნულ ლეგიონის ბიურო-კოლექტივის კრება, რომელსაც დაესწრო მე-2-ე დივპოლიტ-განყოფილების საორგანიზაციო ნაწილის უფროსი ამხ. ბლუაშვილი, ლეგიონის ყველა პოლიტ-ხელმძღვანელები, კლუბის და ბიბლიოთეკის გამგენი და უფროსი მასწავლებელი.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1. მოხსენებები, კლუბის უფროსის ბიბლიოთეკის გამგის და ლეგიონის უფროსი მასწავლებლის მათ მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახე. 2. 1901 და 1902 წ. წ. დაბადებულ ცვალებადელთა შორის თემის რწმუნებულების გამოყოფა. 3. განცხადებების და ანკეტების განხილვა ამხანაგების პარტიაში მიღების შესახებ და 4. მიმდინარე საკითხები.

კრებამ მოისმინა ვრცელი და შინაარსიანი მოხსენებები კლუბის უფროსის, ბიბლიოთეკის გამგის და ლეგიონის უფროსი მასწავლებლის, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული მუშაობა თუ თითეულ მათგანს როგორი უწარმოებია თავ-თავიანთ დარგში. წ. 1 ივნისიდან ე. ი. 1902 წელში დაბადებულ ცვალებადელთა გამოწვევიდან უკანასკნელ ხანამდე. ეს მუშაობა კრებამ ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად.

თემის რწმუნებულთა გამოყოფის აუცილებლობის შესახებ ილაპარაკა ამხ. ბლუაშვილმა. მან თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა აღნიშნულ რწმუნებულთა მნიშვნელობა და მოვალეობა მას შემდეგ როდესაც 1901 და 1902 წ. წ. დაბადებული ცვალებადელები გაშვებული იქნებიან თავ-თავიანთ სახლებში ან როგორი დახმარება უნდა გაგვიწიონ რწმუნებულებმა ცვალებადელთა მეორედ გამოწვევის დროს. თუ ამ რწმუნებულად დავნიშნავთ მომზადებულ და ენერგიულ ამხანაგებს და სათანადო სამუშაო ინსტრუქციებს მივაწოდებთ მათ, მომავალში აღარ დაგჭირდება ტერ-შეკრების დროს მილიციისა და აღმასკომების დახმარება-აღნიშნა ამხ. ბლუაშვილმა. საკითხმა გამოიწვია მრავალი შეკითხვები, რაზედაც პასუხის გაცემის შემდეგ დადგენილი იქნა- დაევალოს ლეგიონის ყველა ასეულების პოლიტ-ხელებს რათა დაუყონებლივ დანიშნული იქნან თითეული მათ ასეულებზე მიწერილ თემებიდან რწმუნებულები და სია მისამართის ჩვენებით წარუდგინონ ბიურო-კოლექტივის მდივანს დასამტკიცებლად. რწმუნებულების დანიშვნა ასი პროცენტით თუ არა 50-ით მაინც გატარებული იყო ჩვენს ლეგიონში, (მაგალითად ქ. დუშეთში მდგარი ასეული), მაგრამ საჭირო ინსტრუქციების უქონლობის გამო მათი მუშაობა ვერ იყო დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, რასაც იმედია მომავალში ყურადღება მიექცევა ვისგანაც ჯერ არს.

შემდეგ განხილულ იქნენ 7 ამხანაგის ანკეტები და ავტობიოგრაფიები, რომლებიც თხოულობდენ პარტიის კანდიდატათ მიღებას. ორი მათგანი ლენ-ახკომკავშირის წევრია, ხოლო დანარჩენი უპარტიონი, ყველა გლეხებია ერთის გარდა, განათლების მხრივ ერთი საშუალო, დანარჩენები დაბალი განათლებით.

პარტკორი ნ. ახათიანი.

# საქართველოში.

## ყურძნის მოკრეფა შეჩერებულია.

ხანგრძლივი გვალვის შემდეგ, ოცი სექტემბრიდან კახეთში დაიწყო წვიმები.

დადგა სიცივეები. ყურძნის მოკრეფა შეჩერებულია.

## სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

მთელ თელავის მაზრაში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შემოტანა დაიწყო და კარგადაც მიმდინარეობს.

რამოდენიმე რაიონებმა გადაიგზავნეს უკვე ექვსი ათას მანეთამდე.

# აბხაზეთში

აბრეშუმის პარკის დამზადება დამთავრდა. დამზადებულია სულ 4.750 ფუთი 80 ათასი მ. ღირებულების. დამზადებული პარკის გაგზავნას ფიქრობენ უცხოეთში.

# აჭარისტანში

## სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.

მომავალ წლის მარტში აჭარისტანის მიწადმოქმედების კომისარიატი აწყობს ბათუმში სასოფლო-სამეურნეო გამოფენას. წინასწარი მუშაობა სწარმოებს.

## სამეურნეო იარაღები გლეხებს.

აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა დაამთავრა საჭირო სამეურნეო იარაღების გეგმის შედგენა 1925—26 წწ. გლეხებისათვის დასარიგებლად.

# ბრძოლაში შესაფერი გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა გარემოების სათანადო შეფასება.

ჟურნალ „ვისტრელ-"ში ამხ. რიეკოვსკი საყურადღებო განმარტებას იძლევა დასმულ თემაზე. ის ამბობს შემდეგს. ვინ უნდა გაარჩიოს სამხედრო ანუ საბრძოლო გარემოება? რასაკვირველია მეთაურმა და რამდენათ მაღალი ხარისხისაა მეთაური იმდენათ ზედმეტათ უნდა იცოდეს მან გარემოება, რომელშიც მოუხდება მას მოქმედება.

ყოველი უბრალო მებრძოლი უშუალოთ გრძნობს გარემოებას და ინსტიქტიურად ცდილობს მასთან იმდენათ შეგუებას, რომ ის მან დადებითად გამოიყენოს.

ხშირად გაიგონებთ ხოლმე ლაპარაკში გარემოებამ მაიძულა მე ესა და ეს მექნა... ან კიდევ, მივიღე რა მხედველობაში ის გარემოება... მე გადავწყვიტე...

ერთი სიტყვით ყოველ გადაწყვეტილებას წინ უძღვის რაღაც გარემოება, რომელიც მიზეზია ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა.

გამოვდივართ რა აქიდან, ჩვენ შეგვიძლია გარემოება განვმარტოთ შემდეგნაირად: მიზეზებს, რომლებიც ამა თუ იმ სახით გავლენას ახდენენ უფროსის გადაწყვეტილებაზე უწოდებთ სამხედრო გარემოებას.

რა მიზეზებს შეუძლია გავლენა მოახდინონ უფროსის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე?

1. უპირველეს ყოვლისა, უფროს ევალება ესა თუ ის ამოცანა. ამ ამოცანიდან გამომდინარეობს ყოველგვარი მისი გადაწყვეტილება. ამ ამოცანის გარეშე რამე მოქმედების დაშვება შეუძლებელია.

2. უფროსის გადაწყვეტილებაზე, აუცილებელია, იმოქმედებს თვით მოპირდაპირე—მტერი. იმის და მიხედვით ვინ იქნება მოპირდაპირე, რა პოლიტიკურ სახეს ატარებს ჯარი, მისი ძალები და მდგომარეობა ჩვენ ძალებთან შედარებით, უფროსი მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

3. უეჭველია, უფროსის გადაწყვეტილებაზე იქონიებს გავლენას აგრეთვე თავის საკუთარი ძალები, მისი რაოდენობა, ტეხნიკა მორალური მხარე და ფიზიკური მდგომარეობა.

4. ადგილმდებარეობასაც საგრძნობი გავლენა აქვს უფროსის გადაწყვეტილებაზე.

5. „დაგვიანება სიკვდილის მაგვარიაო" ამბობენ. მეტათ საგრძნობი და ფრიად მნიშვნელოვანია დროს გავლენა უფროსის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე. დრო აქ შეიძლება ვიგულისხმოთ ორ ნაირათ: ერთი მხრივ როგორც დროთა ვითარება საათი, წამი და სხვა და მეორე მხრივ წლის ხანა, ზამთარი, დილა და სხვა.

6. ამასთან ერთად მჭიდროთ არის დაკავშირებული ამინდიც, მაგალითად: სიცხე ქარბუქი მზიანი დღე და სხვა.

7. დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ მტრის ზიანი როგორც ერთი ფაქტორთაგანი უფროსის გადაწყვეტილებაზე გავლენისა.

როგორ უნდა წარმოვიდგინოთ ჩვენ ახლა საბრძოლო გარემოება შემსრულებლებისათვის; ცალკე მებრძოლისათვის, ჯგუფისათვის? რა იქნება ეს მიზეზთა ერთობრივი, რომელიც გავლენას ახდენს უფროსის გადაწყვეტილებაზე?

უპირველეს ყოვლისა გავლენას ახდენს თვით მოპირდაპირე, რომელიც უკვე აწარმოებს ცეცხლს ან შეტევას. შემდეგ ჩვენი ჯარების მდგომარეობა, რომელიც უზრუნველყოფს ან არა, როგორც თვითეულს, ისე ჯგუფს. საგრძნობლათ მოქმედობს მებრძოლზე ადგილმდებარეობა როგორც, მაგალითად, გაშლილი, თაგორიანი ადგილი, ფერდოები, კლდეები და სხვა.

გავარჩევთ რა ამ გვარათ გარამოებას ჩვენ შეგვიძლია საბოლოოთ გამოვსთქვათ რომ: მიზეზთა ჯამს, რომელიც სათანადო გავლენას ახდენს უფროსის განკარგულებაზე, ცალკე მებრძოლის მოქმედებაზე თუ საერთოთ ჯარებზე უშუალოთ, ეწოდება გარემოება.

## გარემოების შეფასება.

როგორ უნდა შეფასდეს გარამოება იმ მიზნით კი არა, რომ მისგან ამოვიღოთ ამოცანა, არამედ ის გამოვიყენოთ საუკეთესოთ დასმულ ამოცანის შესასრულებლათ.

უპირველესყოვლისა, უნდა შევიგნოთ თვით ჩვენი ამოცანა, უნდა გავიგოთ თუ რა სურს უზენაეს უფროსს ამა თუ იმ შემთხვევაში. ამ რიგათ გარამოების დაფასება უეჭველია მოხთება თვით ამოცანის კუთხსაზომით. ზოგიერთი გარამოების ელემენტები ხოლმე მეტი მნიშვნელოვანი იქნება, საჭიროა მათი დანაწილება დეტალურათ: მაგალითად, თუ ჩვენ დავალებული გვაქვს რომელიმე ზღუდის დაკავება, სანამ მას მტერი დაიკავებდეს, უეჭველია აქ დროს დიდი მნიშვნელობა ექნება. თუ ჩვენ დავალებული გვაქვს დარტყმა ვაწარმოვოთ, უეჭველია აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ჩვენი დარტყმა ჰაერში არ დარჩეს.

მოგერიებითი გამზადებულ მტრის იერიშის დროს, რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება მისი დალაგების ადგილმდებარეობის თვისებებს, მისავლებს და ჩვენთვის გამოსაყენებ ცეცხლის ზღუდეებს.

როგორც საერთო წესი, გარამოების შეფასებისათვის საჭიროა ყველა მისი ელემენტები განხილული იქმნას, დასმულ ამოცანის თვალთაზრისით, და გამოვიტანთ რა შესაფერ დასკვნას, გადავხედოთ შემდეგს.

ახალი ფაქტორების განხილვისაგან შესაფერათ შეიცვლება დასკვნაც და საბოლოოთ მივიღებთ ერთ საერთო დამახასიათებელ დასკვნას, როგორც ამოცანის იდეურ გამოყვანას.

აქ მხოლოდ ერთი სიძნელეა. გარამოება ყოველ წამს შეიძლება შეიცვალოს. უფროსი ვალდებულია ყოველგვარი ცვლილება უყურადღებოთ არ დასტოვოს, იყოს ყოველთვის მზათ უნდა იყოს შესაფერ გადაწყვეტილების მისაღებათ, ამიტომ მისი ბრძოლაში ყოფნა აუცილებელია.

საერთოთ, რომ უფროსს არაფერი გამორჩეს, და აწარმოვოს მსჯელობა ერთგვარ სისტემით, მას აუცილებლათ უნდა გეგმა ან პროგრამა გამოკვლევებისა, რომელშიც შესაფერ რიგში უნდა იქმნას დასმული გარამოების ელემენტები და მათ შორის მეტი მნიშვნელოვანი დანაწილებული მის შემადგენელ ელემენტებათ.

ამ გვარათ უფროს საშუალება ეძლევა ერთგვარი სისტემა იქონიოს გარამოების შეფასებისათვის და მუდამ ქამს მზათ იყოს მისი გადაწყვეტილების შესაფერათ შეცვლისათვის გარამოებისდა მიხედვით.

მ. გ—ძე.

# ᲢᲔᲠ-ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

## განგაში 5 თე ლეგიონში.

21 სექტემბერს ჩვენს ლეგიონს ესტუმრა მოსკოვიდან ჩამოსული 8 კაცისაგან შემდგარი კომისია რომელიც უნდა გასცნობოდა ჩვენი ლეგიონის მუშაობას და აღენიშნა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. კომისიამ დაათვალიერა ყველა ჩვენი ყაზარმები, ისინი ძლიერ კმაყოფილი დარჩენ ჩვენი სუფთად და ლამაზად მოწყობილი ბინებით.

საღამოთი კი, ღამის 12 საათზე, კომისიამ მოულოდნელად მოახდინა განგაში.

ძილს მიცემულნი წ. არმიელები დაფეთებულ იქნენ მორიგეების მიერ, რომლებმაც არაჩვეულებრივი სისწრაფით ჩაიცვეს და გამოეწყვნენ სულ 8 წუთის განმავლობაში თოფებით და ვაზნებით ხოლო ტყვიამფრქვევი ასეულები კი თავიანთი ტყვიამფრქვევებით. ჯარის თავმოსაყარ ადგილად დანიშნული იყო ქალაქის ცენტრი—ბაღთან.

სულ 10 წუთში გაჩნდა მეხუთე ლეგიონის შემადგენლობა დანიშნულ ადგილას სხვა რუსულ და ქართულ ნაწილებს ჩვენმა ლეგიონმა მიასწრო დანიშნულ ადგილას.

ყველაზე ბოლოს მოვიდა რუსის ნაწილი ბატარეია თავისი ზარბაზნებით.

მეხუთე ლეგ მეთაურმა და მთელმა შემადგენლობამ მიიღო მადლობა კომისიის წევრებისაგან. თან გვახლდა სამხედრო ორკესტრი, რომელიც აღვიძებდა მყუდროებით მოცულ ქუჩებს და ტკბილ ძილში წარსულ მოსახლეობას.

სამხკორი 1000.

გამოშვება დიდი ამბით იქნა აღნიშნული. ყველა ბეჯით და გამოცდებზე თავნასახელებ არმიელებს საჩუქრად დაურიგდათ სახალათეები.

სამხკორი სან—მანი.

## შეჯიბრი სროლაში.

**მე-6 ტერ-ლეგიონი.**

23 სექტემბერს მე-6 ლეგიონის მე-3 ათასეულს ჰქონდა შაშხანიდან სროლა. გავედით სასროლ მოედანზე, მიზნები დამზადებული იყო. სროლა სწარმოებდა 300 ნაბიჯზე. ვაზნების რიცხვი 4. შესრულებულად ითვლებოდა 3 ვაზნის მორტყმა. ტერ-არმიელები სიხარულით ემზადებოდნენ სასროლად და შაშხანების ღრუებს ასუფთავებდენ. აი ვაზნებიც მიიღეს, გაიცა ცეცხლის ხაზზე მისვლის განკარგულება და სროლის ნიშანიც მიეცათ. ყველა სუნთქვა შეკრული ასრულებდა თავის საქმეს. სროლა გათავდა და მიეცა შეწყვეტის ნიშანი. მაჩვენებლები ამოვიდენ სანგრებიდან და დაიწყეს შემოწმება.

—რა ჰქენ შაქრო, მოარტყი თუ არა?

—ხომ იცი ჩემი ამბავი, რომ არ ავაცდენდი, ჩემი შაშხანა სულ სხვაა; აი მაგისთანა შაშხანა, რომ მქონდეს, ცოლზე უკეთ მოუვლიდი—უთხრა მეორე არმიელმა პირველს,—შე სულელო, ცოლს როგორ მირჩევნია შაშხანა?—შე კაი კაცო, ცოლი ვერ გიხსნის გაჭირვებისაგან და ვერ მოგიგერებს ბურჟუას და შენი შაშხანა კი წყილით გაუვლის სქელ დიპში.

ასე გაემასხარა ერთმანეთს ორი ამხანაგი, რომლებიც გულის ფანცქალით ელოდენ მიზანში სროლის შედეგს. ამნაირ ლაპარაკში გათავდა სროლა, რომელმაც ბევრის გული გაახარა, და მხიარულად გამოუდექით გზას ყაზარმებისაკენ.

სამხკორი ქინქლა.

## ახალი მალები სოფელს.

**მე-5 ლეგიონი.**

როგორც სხვა ლეგიონებში, მეხუთე ლეგიონშიდაც იქნა დაარსებული შვებულებაში მიმავალთათვის საკოოპერაციო, სამილიციო და ქოხ-სამკითხველოს მოსამზადებელი მუშაკების კურსები.

ქოხ-სამკითხველოს კურსებზე ირიცხება ლეგიონის ძირედ შემადგენლობიდან 40 კაცი. ეს ამხანაგები სავსებით გრძნობენ მათდამი დაკისრებულ მოვალეობის სიმძიმეს და ენერგიულად მეცადინეობენ. კურსებზე ჯერ-ჯერობით ჩატარებული იქნა 15 საუბარი და ორი პრაქტიკული ხასიათის მეცადინეობა. მოწყობილი იქნა ასეულში სანიმუშო კუთხეები. ამოცანა ზედმიწევნით კარგად იქნა შესრულებული.

ქოხ-სამკითხველოს სემინარი დამთავრდება 26 სექტემბერს. მსმენელებს დაურიგდებათ ქოხ-სამკითხველოს მოწყობის გეგმა და მოკლე კონსპექტები განვლილ კურსიდან, რითაც ისინი იხელმძღვანელებენ სოფლად მუშაობის დროს.

სამხკორი ცაცა.

## შეჯიბრმა ბევრი შეგვმინა.

**მე-6 ლეგ. საკავშირო ასეული.**

ლეგიონის საკავშირო ასეულის ცვალებადელებსა და კადრის არმიელებთან ცალცალკე სწარმოებდა მეცადინეობა ამ უკანასკნელ ხანებამდე.

ამ უკანასკნელად ერთმანეთს შეგვრიეს, რადგან წესდებების შესწავლაში ახლები წამოეწიენ ძველ არმიელებს, 23 სექტემბერს შეჯიბრის სახით დაგვინიშნეს გამოცდები. ეჯიბრებოდენ ძველი არმიელები, ერთმანეთს და ახლები კი ერთმანეთს.

გამოცდების შემდეგ კი შეფასების მიზნით გვისვამდენ ნიშნებს.

საღამოს ამოკითხვაზე გამოგვიცხადეს შედეგები. აღმოჩნდა, რომ გაიმარჯვა ორივა ამხანაგმა ახლებში, ძველებში კი ერთმა.

შეჯიბრის დადებითი მხარე ის არის, რომ ბევრი უფრო გულმოდგინეთ შეუდგა მეცადინეობას.

კარგი იქნება ასეთი შეჯიბრი ხშირად მოაწყონ ჩვენთან, რაც ზედმეტად წაახალისებს ჩვენს არმიელებს სწავლაში.

სამხკორი რ. ქორი.

## დავუახლოვდით მე-6 ლეგიონს.

**2-რე არტლეგიონი.**

19 სექტემბერს მეორე არტლეგიონის დრამ წრემ გამართა წარმოდგენა საგარნიზონო კლუბში. ლეგიონის მთელი შემადგენლობა გაემართა მეექვსე ლეგიონის ბანაკისაკენ და ერთად გაუდექით გზას კლუბისაკენ. დადგმული იქნა შემდეგი პიესები „ბუდდა“ და სააგიტაციო პიესა „ალთქმის მხარისაკენ.“

მონაწილეობას ღებულობდა 50 კაცი.

როლები მშვენივრად შეასრულეს მთელ რიგ მოთამაშე ამხანაგებმა. ბოლოს გაიმართა ერთმოქმედებიანი ვოდევილი „სოფლს ფერშალი“, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა არმიელებზე.

ამ საღამოს ჩვენი ლეგიონი საკმაოდ დაუკავშირდა მეექვსე ლეგიონს, რის ასრულებაც დიდი ხანია გვინდოდა.

წ. არმ. გ. ნავრუზაშვილი.

## 70 წერა-კითხვის მცოდნე არმიელი შეემატა ჩვენს რიგებს.

**4-ე ლეგიონი.**

ლეგიონში მისი წლის თავისათვის, მოხდა წერა-კითხვის უცოდინარეობის სალიკვიდაციო სკოლის მოსწავლეთა გამოშვება.

სულ რამოდენიმე ხნის განმავლობაში, ლეგიონის ლიკსკოლამ შესძლო 70 წერა-კითხვის მცოდნე კაცი შეეძინა ჩვენი რიგებისათვის. მასწავლებლების ენერგიულ შრომას თან უერთდებოდა მოსწავლე წითელ-არმიელების მონდომება და მიზანი მიღწეული იქნა.

70 კაცმა მშვენივრად ჩააბარეს გამოცდები. მათი საზეიმო

# ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲐ

## ᲨᲕᲔᲑᲣᲚ ᲐᲠᲛᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ-ᲛᲣᲨᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

**ცხენოსანი ლეგიონი.**

20 სექტემბერს შესდგა ცხენოსან ასეულის შვებულებაში მიმავალ წითელ არმიელების საზეიმო სხდომა, რომელსაც დაესწრენ ცხენოსან ლეგ. შეფის—საპნის ტრესტის მუშები.

საზეიმო სხდომა გახსნა ბიურო-კოლექტივის მდივანმა ამხ. ქაჯაიამ. პირველი მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა ზეთსახდელ ქარხნის მოხუცი მუშა ამხ. ხვიჩია, რომელმაც თავის მოკლე სიტყვაში ჯერ მიულოცა არმიელებს სახლებში დაბრუნება და შემდეგ მოუწოდა მათ არ დაივიწყონ წითელი ყაზარმის დავალებები სოფლად მუშაობის შესახებ.

შემდეგი სიტყვით გამოვიდა ლეგ. სამხკომი ამხ. ჯანგველაძე, ბიურო კოლექტივის მდივანი ქაჯაია, საპნის ტრესტის ახალგაზრდა მუშა ამხ. ავაქოვი და სხვები. საპასუხო სიტყვებში მიმავალმა არმიელებმა განაცხადეს:

„ჩვენ მზად ვართ, ჩვენი ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ სოფლად ჩამორჩენილ გლეხებს. ამავე დროს ჩვენ გვემახსოვრება, თუ საჭიროების დროს როგორ უნდა ვიბრძოლოთ ჩვენს ძმებთან ერთად მუშებისა და გლეხების საკეთილდღეოდ.“

ამის შემდეგ მოხდა ამხანაგების დასაჩუქრება. მუშებმა ცალკე მოუტანეს თავის მხრიდან ამხანაგებს საჩუქრები, რითაც დიდიმადლობელი დარჩენ მიმავალი ამხანაგები. საზეიმო სხდომა დაიშალა ინტერნაციონალის სიმღერით.

სამხკორი ჩახაია.

## გავისტუმრეთ შვებულნი.

**პირველი ლეგიონი.**

22 სექტემბერს დილიდანვე დაიწყო მიმავალ წითელ არმიელების სამზადისი. გადავიღეთ ერთად სურათები. დილიდანვე მიიღეს ბროშურები, წიგნები და სხვა და სხვა საჩუქრები. მთელი დღე მხიარულებაში გავატარეთ. საღამოს კი მუსიკით გაუდექით გზას სადგურისაკენ. გზადაგზა ხშირად ისმის გახარებული არმიელების შეძახილი „ვაშა“—„გაუმარჯოს“ და მრავალი სხვა.

სადგურზე გაიმართა ცეკვათამაში. არმიელები ამ უკანასკნელად კიდევ იწვევენ მეთაურებს სათამაშოთ, რომლებიც სიამოვნებით მიყობიან თავის არმიელებს. რამოდენიმე ხნის შემდეგ ლეგიონის მეთაურმა გახსნა მიტინგი, რომელმაც მოუწოდა ამხანაგებს, მხნედ და ენერგიულად შეუდგენ სოფლად მუშაობას. სიტყვებით გამოვიდენ სხვა მეთაურებიც. მიმავალმა არმიელებმა ერთხელ კიდევ შეჰფიცეს თავის მეთაურებს, რომ პირნათლად შეასრულებენ ყველა დავალებებს და თუ კი საჭირო იქნებიან, მოწოდებისთანავე გამოეშურებიან ნაწილებში ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

წ. არ. კ. მინდიაშვილი.

## ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲐ ᲡᲐᲐᲗᲘ.

**1-ლ მესანგრეთა ასეული.**

ცალკე მესანგრე ასეულში არ არის საათი. უსაათობის გამო დიდი წვალება უხთებათ ასეულის მორიგეებს, რომლებსაც ევალებათ გუშაგების გამოცვლა და დამურებისაც. საათის გულისთვის ის დაიარება რუსების საყარაულო შენობაში, რომელიც ბევრათ დაშორებულია ჩვენი ასეულის შენობიდან, ნეტა ვიცოდეთ რად არ იძენს ჩვენი ასეული საათს?

უხას—აძე.

## საკავშიროელებიც გაეშურენ სოფლებისაკენ.

**პირველი საკავშირო ასეული.**

8 სექტემბერს პირველ საკავშირო ასეულში არა ჩვეულებრივი მხიარულება იყო. მიმავალი არმიელები რამოდენიმე დღით ადრე ემზადებოდენ.

ასევე ემზადებოდა თვით ასეულიც მათ გასაცილებლად, რომელიც თან ატანდა თავის გმირებს ათასგვარ ლიტერატურას და დარიგებებს სოფელში კულტურული და სხვაგვარი მუშაობის საწარმოებლად. შუადღეზე გაიმართა გამოსამშვიდობებელი სადილი. სიმღერა ცეკვა-თამაში დიდ ხანამდე არ შეწყდარა. ზურნა, გიტარა და მანდოლინა ერთმანეთს ეჯიბრებოდენ ამხანაგების გართობაში.

მოახლოვდა სადგურზე წასვლის დროც. წითელ-არმიელები ერთხელ კიდევ გამოემშვიდობენ თავის საყვარელ ყაზარმას და მხიარული ყიჟინით გაემართენ სადგურისაკენ, რომლებიც თან მიაცილა ასეულის უფროსებმა.

იქაც გაახსენეს შვებულებს თავისი მოვალეობა მეთაურებმა და უკანასკნელად დავემშვიდობეთ.

სამხკორი უსახელო.

## ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲡᲙᲝᲛᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲬᲔᲕᲡ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ.

გორის მაზრის—ს. ნიგოზის აღმასკომი დახმარებას არ უწევს წითელი არმიელის ოჯახებს. ამას წინად ჩვენს საკავშირო კომისიაში შევიტანე განცხადება, რათა უკანასკნელს აღეძრა შუამდგომლობა აღმასკომის წინაშე დახმარება გაეწიათ ჩემი ოჯახისათვის. არ მყავს შრომის უნარ მქონე ოჯახში; სწორედ იმ დროს გაცხოველებული პურის მკა იყო და ვიცოდი როგორ მდგომარეობაშიც იქნებოდა ჩემი ოჯახი.

მიუხედავად საკავშირო კომისიის მიმართვისა, ხელისუფლებამ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინა ჩემს ოჯახს.

„რამდენს წითელ ჯარში გაიყვანებენ ყველას ვერ დავეხმარებითო“—ასეთი პასუხით გამოესტუმრებიათ ჩემი მეუღლე.

ამის შემდეგ ჩემს ცოლს, რომელიც ისედაც დიდი გაჭირვებაში ცხოვრობს 24 ფუთი ხორბალი გადაეხადა ყანების მომკაში.

არც სხვა რაიმე დახმარებას გვიწევს აღმასკომი წ. არმიელების ოჯახებს. არ ვიცი რატომ უნდა შეადგენდეს ჩვენი ღარიბი ოჯახები გამონაკლისს.

წ. არმ. მუზაშვილი.

## ახალი მალების მოლოდინში.

კიდევ რამოდენიმე დღე და ჩვენს წითელ ყაზარმას შეავსებენ 1903 წ. დაბადებული ახალწვეულები.

საკავშირო ასეულის ყაზარმა უკვე კარგა ხანია შეუდგა მათი მიღებისათვის სამზადისს. გამოყოფილია მათთვის ცალკე ოთახები, სადაც უნდა მოთავსდენ ისინი ე. წ. კარანტინში გავლამდე. გასუფთავდა და გალამაზდა ყაზარმები. ის დიდი იმედებით მოელის ახალ წითელ მხედრებს, რომლებმაც საჭირო სწავლა და გამოცდილება უნდა მიიღონ მის კედლებში. დამხდური არმიელები ემზადებიან, რომ ახლად მოსულებს კარგად შეაგნებიონ წითელ ყაზარმასა და ძველი ყაზარმის შორის განსხვავება, წითელი ჯარის მიზანი და მნიშვნელობა.

ახალწვეულებს კიდევ ბევრი რამ უნდა გადასცენ ჩვენმა არმიელებმა, თავიდანვე გააცნონ ყაზარმის ცხოვრება და მით გაუადვილონ მათ სამსახური.

ამას ჩვენი არმიელები იმედია პირნათლად შეასრულებენ.

წ. არმ. გ. ჯოხაძე.

# ნაწილების წერილებიდან.

**წარმოდგენა წითელარმიელებისათვის.**

მე-5 ლეგიონი.

13 სექტემბერს დივიზიის კლუბში პიონერების მიერ გამართული იქნა საღამო მე-5 ლეგ. წითელარმიელებისათვის. ადგილის სივიწროვის გამო საღამოზე მოწვეული იქნა მხოლოდ 300 არმიელი. დაიდგა პიესა „წითელი ყაზარმა“, რომელიც მშვენივრად იქნა ჩატარებული. შემდეგ გაიმართა პიონერების სპორტვარჯიში სცენაზე. წაკითხული იქნა სხვა და სხვა რევოლიუციონური ლექსები. საღამო შინაარსიანად დამთავრდა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა არმიელებზე.

სამხკორი ო—26.

# ჩვენი ხელისუფლების მოღვაწეობა.

— **ამ-ძაკ. სახკომსაბჭომ** დაავალა ა. კ. ფოსტა-ტელ. რწმუნებულს გამოსძებნოს თანხა 5 ათასი მანეთის რაოდენობით ფოსტა ტელ. თურქ. მუშაკთა მოსამზადებელ კურსების შესანახათ.

— **სასოფლო-სამეურნეო გამოფენა.** ა. კ. სახკომსაბჭომ დაავალა ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს მიიღოს მონაწილეობა ამიერკავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობაში.

— **საძოვრების დაცვა.** საქართველოს უმ. ეკ. საბჭო, თანახმად ა. კ. სახკომსაბჭოს წინადადებისა, ერთი თვის განმავლობაში შეუდგება საძოვრების დაცვის საკითხის მოგვარებას.

— **იაფი საქონელი აფხაზეთს.** ა. კ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა სრ. რუსეთის საფეიქრო სინდიკატს გამოსძებნოს ზომები აფხაზეთისათვის ნაწარმოებთა იაფ ფასებში მისაწოდებლათ.

# ამბები სოფლებიდან

**წერკუმსის უჯრედში.**

წერა-კითხვის უცოდინარობასთან მებრძოლ საზოგადოების ზუგდიდის განყოფილება მაზრის ყველა სოფლებში აწყობს წ.-კ. უცოდინარობასთან მებრძოლ უჯრედებს.

**წყაროს გაყვანა.**

სოფ. სასირეთის (გორის მაზრა) გლეხებმა გადასწყვიტეს, ამ შემოდგომაზე გაიყვანონ წყარო სოფელში.

**სკოლის აგება.**

მეტეხის თემაღმასკომმა დაადგინა შეუდგეს სოფ. ბარნაბიანში (გორ. მ.) სკოლის ახალი შენობის აგებას.

**ხიდი სოფ მუხურში.**

ზუგდიდის აღმასკომმა უფასოთ გასცა საჭირო ხე-ტყის მასალა მუხურის ხიდის გასაკეთებლათ.

**მეფუტკრეობა ქიზიყში.**

სიღნაღის მაზრაში ამჟამად მეფუტკრეობას ეწევა 250 სამეურნეო ერთეული.

**საავათმყოფოს შეკეთება.**

ახალქალაქის აღმასკომის ინიციატივით შეუდგნენ ბარალეთის საავათმყოფოს საფუძვლიან შეკეთებას. საავათმყოფო დახმარებას აღმოუჩენს 20 ათას მოსახლეობას.

**საავტომობილო მიმოსვლა.**

ახლო ხანში ეწყობა ყოველდღიური საავტომობილო მიმოსვლა ქობულეთ-ლელვას შორის (აჭარაში).

# ახალი ამბები.

— **კვირეული.** ვეტერინარულ განათლების გავრცელების მიზნით ტფილ. აღმასკომმა დაავალა საადგილ-მამულო განყოფილებას ჩაატაროს კვირეული.

— **აეროპლანების მოდელების შეჯიბრება.** 20-25 ოქტომბრამდე ქუთაისში მოხდება აეროპლანების მოდელების შეჯიბრება.

— **შავი-ქვის გასაღება.** აგვისტოს განმავლობაში გასაღდა ჭიათურის მაღაროებიდან ამოღებული მადანი, 56.263 მანეთის ღირებულების.

— **ტრაქტორი სოფელს.** მიწათმოქმედების კომისარიატმა მისცა დროებით სახმარებლათ, ერთი ტრაქტორი სურამის გლეხკომს.

— **წყლით საავათმყოფო.** დამზღვევი სალარო ფიზი-ტერაპევტიულ ინსტიტუტთან აწყობს წყლით საავათმყოფოს ნერვებით ავათმყოფთათვის.

— **ავიაქიმი სოფლებში.** საქ. ავიაქიმის ცნობებით საქართველოს მრავალ სოფლებში ეწყობა ავიაქიმის უჯრედები.

— **მუშათა სახლის აგება** ა. კ. ფოსტა-ტელ. მუშათა კავშირს ტფ. აღმასკომმა გადასცა ბოგოსლოვის ქუჩაზე მდებარე ადგილი სახლის ასაშენებლათ.

— **შინა-ვაჭრობის განყოფილება.** ტფილისის აღმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს შინა ვაჭრობის განყოფილება, მაზრაში შინა ვაჭრობის საქმეების ხელმძღვანელობის გასწევათ.

# ნაოსნობა რიონზე.

(გამოკვლევების შედეგები).

მდინარე რიონზე ნაოსნობის საკითხის მოსაგვარებლად, უმაღლეს სამ. საბჭომ გაგზავნა იქ გამოკვლევების მოსახდენათ კომისია კონსტრუქტორ ხეჩინოვის ხელმძღვანელობით. კომისიას უნდა გამოერკვია თუ რამდენათ შესაძლებელია მდინარე რიონზე ნაოსნობის მოწყობა დაწყებული ფოთიდან—ქუთაისამდე და ქუთაისიდან ზემოთ ლეჩხუმისაკენ.

გამოკვლევები მოახდინეს სოფ. მექვენამდე. როგორც ვიცით, რიონზე ნაოსნობამ უნდა იწარმოოს თვით ხეჩინოვის მიერ გაუმჯობესებულ გემებით (ჰიდრო—გლისერი). კომისიის გამოკვლევამ მოიტანა ერთგვარი შედეგი და გამოირკვა, რომ სოფელ მექვენამდე ქუთაისიდან, აღნიშნული ტიპის გემები ვერ იმუშავებენ, რადგანაც მდინარე აქ არ არის გაშლილი და ხშირად ადგილი აქვს მდინარის უცაბედათ მოხვევებს და გარდა ამისა მდინარეში ხშირათ გვხვდება დიდი ქვები და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები.

რაც შეეხება ფოთიდან ქუთაისამდე ნაოსნობის მოწყობას, კომისიამ შესაძლებლათ და საჭიროთა სცნო ფოთიდან ქუთაისამდე მოწყობილი იქნას ნაოსნობა, რადგანაც მდინარე ამისათვის იძლევა სრულ ბუნებრივ შესაძლებლობას.

# მეცნიერება და ტეხნიკა

**გაახალგაზრდავების შედეგები.**

ბერლინის ერთი ექიმთაგანი პ. შმიდტი ჟურნალ „პროგრეს მედიცინაში“ მოთავსებულ წერილში შემდეგს ამბობს შტეინახის გაახალგაზრდავების მეთოდისაგან მიღებულ შედეგებზე: გაახალგაზრდავებისათვის ოპერაცია გაკეთებულ ორგანიზმებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ გამოარკვია შემდეგი:

**ფიზიკური—გარეგნული ცვლილებანი.** ადამიანის სხეულის წონა მატულობს 12 კილოგრამამდე (30 გირვანქა); ფიზიკური ძალის ზრდა; სისხლის დაწოლის შემცირება, მხედველობის გაუმჯობესება და სქესობრივ უნარიანობის გაძლიერება.

**ფსიქიური—შინაგანი სულიერი ცვლილება.** გონებრივი მუშაობის ზრდა; თაოსნობის და მეხსიერების, მუშაობისადმი სურვილის, თვითშეგნების და ხალისიანობის გაძლიერება.

ეს შედეგები მიღებული იქნა ოპერაციის შემდეგ 4—6 თვის განმავლობაში დაკვირვებებით. უარყოფით შედეგებს ადგილი არ ჰქონია. შიში იმაზე, რომ ორგანიზმის ასე ჩქარი ტემპით გამოცოცხლებას მოჰყვებოდა ასევე ჩქარი ტემპით დაუძლურება არ გამართლდა.

**უზარმაზარი ყინულის ხვრელი.**

ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოკვლეული იქნა ჩდილოეთ შვეიცარიის მთებში არსებული ყინულის ხვრელი. ეს ხვრელი პირდაპირ „ბუნების სასწაული“ გამოდგა, როგორც თავისი სიდიდით, ისე წარმტაცი სილამაზით. უზარმაზარ დერეფანში, რომლის სიგანე უდრის 30 მეტრს და სიმაღლე კი 20 მეტრს, მიმდინარეობს ყინულის მდინარე. მისი სიგრძე აღწევს 2 ვერს ნახევარს. ბევრ ადგილებში ეს დერეფანი ფართოვდება და ქმნის 120 მეტრის სიგანისა და 50 მეტრის სიმაღლის დარბაზებს.

ამ ადგილებში მდინარე ქმნის წარმტაცი სილამაზის ტბებს. ერთ ადგილზე, სადაც დერეფანის ძირი ძლიერ დაქანებულია, გაჩენილა ქვევით ნელა მიმდინარე ყინულის წყალვარდნილი. მისი სიგრძე უდრის 800 მეტრს და დაფარულია ყინულის სვეტებით.

ასეთი სახის ხვრელების—გამოქვაბულების გაჩენა მით აიხსნება, რომ ზამთრობით ცივი ჰაერი ძლიერი ნაკადის სახით შედის ხვრელში და მეორე თავში კი გადის ასეთივე ძლიერი ნაკადით.

გზა და გზა ეს ჰაერი აცივებს ხვრელის კედლებს 0°-ზე ქვევით და ამნაირად ხვრელში ნიადაგიდან ჩაპარული წყალი იყინება. ზაფხულში გარეული თბილი ჰაერი უფრო სუბუქია ხვრელში მომწყვდეულ ჰაერზე, რის გამო ხვრელში ჰაერის მოძრაობა თითქმის სწყდება და მასში იმდენად დაბალი ტემპერატურა რჩება, რომ ყინული არ დნება. სწორედ ამის გამო ხვრელში რამოდენიმე ხნის განმავლობაში გროვდება აურება ყინული.

# პასუხი შეკითხვებზე.

**კითხვა.** ვარ ექიმის თანაშემწე. გაწვეული ვარ ჯარში 1924 წ. შემოდგომაზე. ვიქნები თუ არა განთავისუფლებული ამ წლის ოქტომბერში?

ექ. თან. აფხაზელი.

**პასუხი.** თანახმად არმიის სანიტარულ სამმართველოს ცირკულიარისა № 7107 ა. წ. 17 ივნისიდან ექიმის თანაშემწეები დარჩებიან სამსახურში მანამ, სანამ ეს საკითხი გამორკვეული არ იქნება მთავარ სამხედრო სანიტარულ მმართველობის მიერ.

**კითხვა** ცხენოსან ლეგიონის შტაბის გადამწერებს გვიხდება მორიგეობა შტაბში დილის 9 საათიდან მეორე დღის დილის 9 საათამდე, მორიგეობის ჩაბარების შემდეგ მეორე დღესაც მუშაობა. გვეკუთვნის თუ არა მორიგეობის შემდეგ მუშაობა?

ვ. მართაშვილი.

**პასუხი.** მორიგე მეორე დღეს თავისუფალია, მხოლოდ რამდენი ხნით და როგორ ეს საკითხი უნდა მოაწესრიგოს თვით ნაწილის მეთაურმა. (იხ. „კრასნაია ზვეზდას“ დამატებითი ცნობათა ფურცელი № 69).

**კითხვა.** ვმსახურებ წითელ ჯარში 1924 წ. ოქტომბრიდან. ეხლა მინდა გადავიდე რკინის გზის ბათალიონში. გთხოვთ მიპასუხოთ შეიძლება თუ არა და თუ შეიძლება ვის უნდა მივმართო ამის შესახებ?

წ. არმ. ბურდიკოვი.

**პასუხი.** ნაწილიდან ნაწილში გადასვლა აკრძალულია. (ბრძანება რევსამხსაბჭოს).

**კითხვა.** მე მომპარეს საცვლები. ნაწილმა საცვლების ღირებული ფასი დამიკავა ჯამაგირიდან. დამიბრუნდება თუ არა ფული?

წ. არმ. ელ—ტი.

**პასუხი.** უნდა მოხდეს კვლევა-ძიება, თუ დამტკიცდა რომ თქვენ ნამდვილად მოგპარეს, იმ შემთხვევაში საცვლების ღირებულება არ უნდა გადაგხდეს.

**კითხვა.** გთხოვთ მიპასუხოთ შეუძლია თუ არა წითელ არმიელს იაროს ტრაქტორებზე მომუშავეთა შესასწავლ კურსებზე, რომელიც გაიხსნება 15 ოქტომბერს?

წ. არმ. გორის უბნელი.

**პასუხი.** შეუძლია უფროსის ნებართვით და თუ ეს სამსახურს არ ავნებს.

**კითხვა.** შეუძლია თუ არა წითელ არმიელს იაროს კოოპერაციის კურსებზე?

წ. არმ. გ—ლი.

**პასუხი.** შეუძლია უფროსის ნებართვით და თუ ეს საქმეს არ ავნებს.

**კითხვა.** ვარ ტერ არმიელი. მენახება სამსახური და მეძლევა ჯამაგირი თუ არა?

მ. მაღალაშვილი.

**პასუხი.** ადგილი გენახებათ. 2 მესამედი ჯამაგირისა მოგეცემათ მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში.

**კითხვა.** უვადო შვებულებაში წასვლის შემდეგ მსურს სამსახური ტრამვაის დამცველ რაზმში. გთხოვთ მიპასუხოთ ვის უნდა მივმართო ამის შესახებ?

წ. არმ. კოდისპირელი.

**პასუხი.** უნდა მიმართოთ თქვენს უფროსს, რომელიც შუამდგომლობას გაგიწევთ. თუ თავისუფალი ადგილი იქნა, როგორც შვებულს, უპირატესობა მოგეცემათ ადგილის მოცემაში.

**კითხვა.** 1924 წ. გაზაფხულზე გამოწვეულნი, რომელნიც მსახურებენ ქართულ მეთაურთა სამხედრო სკოლაში წ. არმიელებათ განთავისუფლებულნი იქნებიან თუ არა პირველ რიგში?

წ. არმიელები.

**პასუხი.** განთავისუფლებულნი იქნებით მეორე რიგში. (ჩვენი გაზეთის № 217-ში შეცდომით იყო მოთავსებული, რომ გაანთავისუფლებენ პირველ რიგში).

**კითხვა.** ვარ გამოწვეული 1925 წ. მაისში. ჩემს ოჯახს ჩემს მეტი პატრონი არ ყავს. შეიძლება განვთავისუფლდე სამხ. სამსახურიდან ან გადავირიცხო ტერ-ნაწილში ცვალებადათ?

წ. არმ. უტიაშვილი.

**პასუხი.** არ შეიძლება. დაგვიანებულია. ამის შესახებ თავის დროზე უნდა წარგედგინათ სათანადო მოწმობები მიმღებ კომისიისთვის.

# ჩვენი ფოსტა.

**ამხ. მაყურებელს-** თქვენი წერილი ს. ვაქირზე არ გამოდგა.

**ამხ. უჩხომელს** (1-ლ ც. საკავშირო) წერილი „უვადო შვებულებაში მიმავალთ“ არ გავა.

**ამხ. ჯორჯაძეს** (პირველი ლეგიონი) შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ლენჭუთხეს.** (დივლაზარეთი) საჭიროა თქვენი ვინაობა; ისე წერილი არ დაიბეჭდება.

**ამხ. ყულისკარელს** (5-თე ლეგ.) თქვენი მასალა ტერშეკრებაზე არ დაიბეჭდება დაგვიანების გამო.

**ამხ. დავოს** (6-სე ლეგ.) თქვენი წერილი შვებულთა შესახებ დაგვიანებულია. არ დაიბეჭდება.

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.